წლიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი ჯარიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქ. მისამ.: სპიონ. ქ. № 30.
პირველი სართული.

სამშაბ. 17 ოქტომბერი.
1922 წ.

№ 120 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 120

რევოლიუციონური მოძრაობები და ფაშისტები

ვეებერთელა რუსეთში დანთებული კომუნიზმის ცეცხლი თანდათანობით ედება ბებერ ევროპას.

მესამე კომინტერნი—გზის მაჩვენებელი და მესაჭეა ამ ცეცხლისა.

ის აქარიშხლებს მას და მის ცხოველმყოფელ სხივებს, კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელ მასსების—მებრძოლ რევოლიუციონურ ორგანიზაციებათ აყალიბებს.

ნიადაგი კი, მზათაა ამ რევოლიუციონურ ცეცხლისთვის.

დიდი ხანია ისტორიის რკინის ლოღიკამ, ყველა ქონების კონცენტრაციით, ხოლო ფართო მასსების პროლეტარიზაციით, მისცა სიგნალი საერთაშორისო მუშათა კლასს, სოციალისტ. რევოლიუციის დაწყებისა.

მსოფლიო ომმაც შეუწყო ამას ხელი, და გაკოტრა რა მან, ყველა ქვეყნის ბურჟუაზია მორალურად და იდეურად, ხოლო უკიდურესი გაჭირვებებით გამოაფხიზლა რა მუშათა კლასი, კიდევ უფრო დააჩქარა იმპულსის მიცემა ამ რევოლიუციონურ მოძრაობებისათვის.

კიდევ ამისათვისაა, რომ მესამე კომინტერნის მეთაურობით, კომუნისტურმა გრიგალმა ეგრე ფართოდ გაშალა ფრთები მთელს ევროპაში, რის შედეგათაც ისა გვაქვს დღეს, რომ მთელი ევროპა მოფენილია მრავალ-რიცხოვან და ძლიერი კომუნისტური ორგანიზაციებით.

არა თუ გერმანია, არამედ ავსტრია, ჩეხო-სლოვაკია, იტალია და საფრანგეთიც კომუნიზმის წითელი აჩრდილის საშიშროების წინაშე სდგანან.

ბურჟუაზია კარგათ ხედავს ამ მის დასაკლავ დანას.

ის მშვენივრად გრძნობს მუშათა კლასის კომუნიზმის დროშის ქვეშ თანდათანობით გაძლიერებას, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს დაამხობს რა მის ტირანიას, თვით გამოაცხადებს თავის ძალა-უფლებას, მსგავსად რუსეთის გმირ პროლეტარიატსა.

ამისთვის არის, რომ ის (ბურჟუაზია) ჰიმავს მთელ თავის ძალასა და ენერგიას და საშინელ რეპრესიებით და ღონის ძიებით, უმასპინძლდება თავის ქვეყნის მუშათა მოძრაობებს.

ამ შემთხვევაში მათ ეხმარებიან და მხარს უმშვენებენ მუშათა ინტერესების გამცემნი და გამყიდველნი ცრუ სოციალისტები: გენდერსონები, ნოსკეები, შეიდემან-ვანდერველდეები, და სხვა ბევრი ცხვრის ქურქებში გახვეულნი მგლები.

ამისთვის არის, რომ როგორც ბურჟუაზიულ, ისე ამ ცრუ სოციალისტების საბძანებელ ქვეყნებში სავსეა ციხეები საუკეთესო რევოლიუციონერებით, მოწინავე მუშებით, რომლებსაც საშინელ არა ადამიანურ მოპყრობით უწამლავენ სულს და სანატრელ საგნათ უხდიან სიკვდილს. (მოიგონეთ ამ რამდენიმე დღის წინად დაწერილი მეთაური ჩვენს გაზეთში გერმანელი კომუნისტის მაქს ელცის წამების შესახებ)

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა..

ბურჟუაზიამ კარგათ იცის, რომ მარტო ასეთი რეპრესიებით და რევოლიუციონერების ციხეებში წამებით ვერრას გახდება.

ამისთვის ის აარსებს კომუნისტების წინაალმდეგ რეაქციონურ ორგანიზაციებს, რომლებსაც ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებში, ეწოდებათ სხვა და სხვა სახელები, მაგ. იტალიაში „ფაშიზმი“ გერმანიაში „ორგეში“ საფრანგეთში „მოქალაქეთა კავშირი“ ჩეხო-სლოვაკიაში ,,შევარდენი“ და სხვა.

ამ რეაქციონურ ორგანიზაციებშია თავ-მოყრილი ყველა-ოფიცრები, ბურჟუები და მემამულენი და თავისი მთავრობების ბრძანებით ცეცხლით და მახვილით ანადგურებენ მუშათა ორგანიზაციებს.

იტალიაში ფაშისტებმა, სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს კომუნისტებს, ხოლო როგორც უკანასკნელი დეპეშები ამბობენ მათ თავის სამოქმედო ასპარეზი საფრანგეთშიც გადუტანიათ.

ფაშისტების სახით ყველგან ძლიერდება რეაქცია, რაც აიხსნება იმით, რომ რევოლიუციონურ მოძრაობებს ფართოთ გაუდგამთ ფეხი ევროპის ქვეყნებში.

მაგრამ, ისტორიის უკუღმა დატრიალებას ვერ შესძლებენ შემოდგომის ბუზები, რომლებიც დღეს ეგრე მწარედ იკბინებიან.

პროლეტარიატს თავის გზა აქვს, თავის იდეა და ისიც ყოველგვარ სიძნელეთა გარეშე გამარჯვებით გაიტანს, ბურთს ლელოზე.

ამის მღალადებელია მეცნიერულათ აწონილი ისტორიის და დიალექტიურ-მატერიალიზმის იდეალოგიის და მიხედვითს ამ ისტორიის ლოღიკური წინ-მსვლელობა.

დღევანდელი ცნობები

— საბერძნეთის მთავრობა თხოულობს ფრაკიის ევაკუაციის პერიოდის გაგრძელებას.

— ჩეხო-სლოვაკიაში მასსიური გაფიცვებია.

— პოლონეთში გაფიცვების გამო, გაზეთები არ გამოდის. მთელს პოლონეთში გრანდიოზული გაფიცვებია.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

— ლოიდ-ჯორჯმა მანჩესტერში, „რეფორმკლუბში“ წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ ინგლისი კი არ გამოდის ომის დაწყებით, არამედ ის გამოდის მშვიდობიანობის მომგვარებლათ. და აღნიშნა ოსმალოების მოქმედება 1914 წ. ომის დროს იმ მოქმედებათა გამო ის წინაალმდეგია იმ ლიბერალურ ქრისტიანებისა, რომელნიც მომხრენი არიან ოსმალების ევროპის ტერიტორიაზე დაშვებისა.

— „პტი პარიზიელ“ აქვეყნებს ინტერვიუს გენ. ქებელთან, რომელმაც გამოსთქვა კმაყოფილება დროებითი ზავის ხელის მოწერის შესახებ ქებლი სთვლის ამ დროებით ზავს ნაყოფიერი მეგობრულ დამოკიდებულების დასაწყისად ოსმალეთისადმი და აღმოსავლეთის ქრისტიან მცხოვრებთა დაცვის მიმართ. გენერალის სიტყვით პუანკარეს პოლიტიკამ მიიყვანა საფრანგეთს ახლო-აღმოსავლეთის საკითხის სწორ გადაჭრამდე და საშვალება მისცა გამოენახა ახალი გზა და აუცილებელი ფორმულა კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

— სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა გადასცეს ანგორის წარმომადგენელს გამიდ-ბეის; საბერძნეთის უმაღლესი კომისარის განცხადება, რომელშიაც ნათქვამი: საბერძნეთის მთავრობა მოაგონებს საბერძნეთის დელეგატების შენიშვნებს მუდანიაში და გამოსთქვამს მწუხარებას რომ ისინი არ იქმნენ მიღებული მხედველობაში საბერძნეთის მთავრობა სთხოვს მთავრობებს, გაადვილონ ქრისტიანების ემიგრაცია და გააგრძელონ პერიოდი საბერძნეთის ჯარების ევაკუაციისა და ფრაკიაში ოსმალეთის ადმინისტრაციის მოწყობისა.

— გაზეთების ცნობით ახლო მომავალში გაიხსნება სკუტარში ახლო-აღმოსავლეთის კონფერენცია, რომელზედაც იტალიის წარმომადგენელი იქნება გრაფ სფორცა.

— ოსმალეთის 4,000 კაცისაგან შემდგარი რაზმის მიერ ნეიტრალურ ზონის ახალ გადალახვის შესახებ, იტალიის გაზეთები ამბობენ, რომ ეს არის ცდა სტამბოლის დაპყრობისა, მოკავშირეთა დამცველი ხაზის შემოკლებით რომელიც იწყობა ჩანაკთან ნეიტრალური ზონის ამ გადალახვის გამო მოკავშირეთა წარმომადგენლებმა სტამბოლში გადაჭრილ წინადადებით მიმართეს ანგორის მთავრობას.

— საბერძნეთის მთავრობამ მიანდო თავის წარმომადგენლებს სტამბოლში, ხელი მოაწერონ მუდანიაში დადებულ შეთანხმებას.

— „გოლუა“ იტყობინება, რომ ანგორის წარმომადგენლები არ გამოსთქვამენ უკმაყოფილობას კონფერენციის სკუტარის მაგიერ ლოზანში მოწვევის შესახებ.

გაზეთი ცხოვრების სარკეა.

წაიკითხეთ და წერა-კითხვის უცოდინართ გაუზიარეთ, მისი შინაარსი.

მფრინავი ბატარეა

„წითელი ბალტიის ფლოტის“ ცნობით ამერიკაში გამოუგონებიათ ახალი სამხედრო თვით-მფრინავი, რომელიც ესვრის მაღლიდან მიწაზე. აეროპლანი გაკეთებულია მთლათ ლითონისაგან. ფრენის საშუალო სისწრაფე უდრის 200 ვერსს საათში.

თვითმფრინავი შეიარაღებულია ორი ბატარეით: წინა შესდგება 12 და უკანა 16 ტყვია-მფრქვევისაგან.

ბატარეია ისვრის თვითეული ცალკე, ან და ყველა—28 ტყვიამფრქვევი ერთად.

სროლა სწარმოებს ბერკეტების საგანგებო სისტემით.

ტყვია-მფრქვევი ისვრის 1500 ტყვიას ერთ წამში.

გარდა 28 ტყვია-მფრქვევისა, რომლისაგანაც შესდგება ბატარეია, არის კიდევ თვითმფრინავის აპარატის წინ ორი, რომელიც იხმარება ხელით.

თვითმფრინავის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილები დაფარულია ფოლადის ჯავშნით 3 ნახ. მილიმ. სისქით, რომელსაც ქვევიდან გასროლილი ტყვია ვერ სჭრის.

რევოლვერი—ტყვიის-მფრქვეველი.

გერმანიაში რევოლვერი „პარაბელიუმი“ გადაკეთებულია თითქმის ტყვიისმფრქვეველად. ის დაიტენება მოხვით, რომელიც იტევს 40 ტყვიას და იხმარება იერიშების დროს როდესაც მტერი ახლო არის. ყველა სამხედრო პირები შეიარაღებულია ამ რევოლვერებით.

პოლონეთის ჯარის სუსტი ადგილები.

მტაცებლური პოლიტიკის მწარმოებელი პანების პოლონეთი მუდამ შურის თვალით უყურებს რ. ს. ფ. ს. რ საზღვრებს.

ის შედის სამხედრო კავშირში მეზობელ სახელმწიფოებთან (რუმინია, ვენგრია ჩეხო-სლოვაკია) საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ამავე დროს მისი არმია, რომელიც მას უნდა დღეს თუ ხვალ დასძრას ჩვენს წინააღმდეგ იმყოფება არა სავსებით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგები ძალიან სცდილობენ მის გაწრთვნას.

საკმაოა მიუთითოთ, რომ ამ არმიის ძირითადი შემადგენლობა—ოფიცრობას—საზღვარ-გარეთელი სამხედრო ავტორიტეტები ახასიათებენ როგორც ჭრელს ეროვნულ შემადგენლობით. (ყოფილი რუსის, გერმანელების, ავსტრიელები და სხვა) მომზადება აქვთ სუსტი და აგრეთვე არა აქვთ სურვილი, რომ ემსახურონ სამხედრო სამსახურში.



სადაა სოციალური დახმარება?!

თანახმად მთავრობის დეკრეტისა № 3 სოციალური დახმარება ეძლევა წითელ ლაშქრელთა ოჯახებს; მიუხედავათ ამისა, ხსენებული დახმარება არ მიუღია არც ერთ წითელ არმიელს (გამონაკლის შეადგენენ თბილისელები)

სიღარიბის მოწმობები, თითქმის ყველა ლაშქრელმა ჩააბარა ნაწილის კანცელარიას, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებით ჯერაც ვერ ვღებულობთ.

ხან გვეუბნებიან დახმარებას ნაწილში მიიღებთო; ჩვენც მოწმობები წარუდგინეთ შემდეგ გვეუბნებიან ადგილობრივად უნდა მიიღოთო.

ადგილობრივად კი ყურადღებას არავინ გვაქცევს. ალმასკომის თავჯდომარე გაიძახის: „რის დახმარება უნდა მოგცეთო, როდესაც ჩვენი მოსამსახურეებისათვის სამი თვეა, რაც ჯამაგირები არ მიგვიციაო“ ასეთია მდგომარეობა. საჭიროა ამ საქმეს მიექცეს სერიოზული ყურადღება, საქმის გამწვავებამდე.

1-ლი მესანგრე წ. არ. ირ. **ჩრდილელი.**

წითელ არმიელთა მოწოდება

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ელიაშვილის—„ოსმალეთ საბერძნეთის ომი და ინგლის საფრანგეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში“, ჩვენ წ. არმ. 1-ლ საბჭოთა მსროლელ ლეგიონის მე-3-მე ათასეულისა, მოვუწოდებთ დასავლეთ ევროპის მშრომელ ხალხს, რათა მათ აღიმაღლონ ხმა და არ მისცენ ნება გაუმაძღარ ბურჟუაზიას, რათა ხელახლა გააჩაღონ სისხლის ღვრა ბალკანეთში, რათა კონსტანტინოპოლს და მისი სრუტეების საკითხი არ იქნეს გარჩეული რუსეთის, უკრაინის და საქართველოს დაუსწრებლათ. ვინაიდან ზემოხსენებულ სახელმწიფოების გასავლელი კარი კონსტანტინოპოლი და მისი სრუტეებია.

გაუმარჯოს საერთაშორისო ზავს.

ძირს ომი და მისი მესვეურნი.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.—

ჩ:—ი.

სად არის სამხკომი?!!

სამოსწ. ესკადრონში კიდევ არიან წერაკითხვის უცოდინარნი ზოგი უფშემადგენლობა სარგებლობს მათი შეუგნებლობით და ამა თუ იმ ხერხით იყენებს მათ როგორც „დენშჩიკს“

აი მაგალითიც: მასწავლებელი ეუბნება წერაკითხვის უცოდინარ წით. არმ. **მიხ. არჯევანიძეს:** „სამეცადინოთ წამოდიო“. ის უპასუხებს—რომ, „ესეს არის ტელეფონით დამიძახა ლ—მ რომ მას მივართვა ცხენი და თან სურსათი წაუღო და ამისათვის არ მცალიაო“.

სად არის სამხკომი?

დროა ამას ყურადღება მიექცეს.

კახურელი.

მგელი ცხვრის ტყავში.

ამა თვის—სექტემბრის დღეებში ესტუმრა მეორე ქართულ შეერთებულ საარტილ. დივიზიონს ერთი ვაჟბატონი, რომელიც საბუთებით გოცირიძე აღმოჩნდა.

ეს ვაჟბატონი თავის ბაქიობა-ლაპარაკით ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონერი იყო, რაც ბოლოს და ბოლოს დამტკიცდა, იქმნა დაჭერილი და გადაგზავნილი ციხეში.

აგრეთვე ისიც დამტკიცდა, რომ იგი იყო **აივაზოვი და არა გოცირიძე.**

იცოდეს ყველა ასეთმა ვაჟბატონებმა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მათ აულებს ალღოსა და ღირსეულადაც დასჯის. ტყვილად ნუ შეეცდებიან თავიანთ ქვემძრომობით ჩვენი წით. ჯარის შესუსტებას.

აგრეთვე, ჩვენი გულის წყრომა ჩვენს მნეს, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია—ტანისამოსის და ფულის მიცემით ხსენებულ ვაჟბატონს, რამაც დიდი უსიამოვნება გამოიწვია ჩვენს წითელ-არმიელებში.

პ. **არსენიძე.**

ჩვენი კურსანტები ბანდიტების წინააღმდეგ

ქართული შეერთებული სამხედრო სკოლა იყო გაგზავნილი სურამის ბანაკიდან დუშეთის მაზრაში ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის ამ საქმეს კურსანტება დიდი სიფრთხილით მოეპყრან და გამოიჩინეს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისადმი სიყვარული.. ბანდები დაშალა ჩვენმა მედგარმა და რევოლიუციონურ ჯარმა ამ მოკლე ხნის ბრძოლის დროს კურსანტებმა მიიღეს სათანადო პრაქტიკა ომებში. ბანდიტიზმის ლიკვიდაციის შემდეგ კურსანტები დაბრუნდნენ თბილისში და მათ მისცეს ორი კვირის შვებულობა შესასვენებლად რის გათავების შემდეგ დაბრუნდებიან სამხედრო სკოლაში სასწავლებლად.

პოლიტხელი **ბურდილაძე.**

პარტიული მუშაობა.

მსუბუქ საავაციო ესკადრილიაში

8 ოქტომბერს ს. ს. რ. საავაციო ესკადრილიაში მომხდარ საერთო კრებაზედ მოსმენილ იქმნა მოხსენებები ამხ. გოგოლაძის საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობაზედ, და კოოპერაციის შესახებ.

მოხსენება ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობაზედ იყო ვრცელი და შინაარსიანი, რომელმაც გამოიწვია დიდი ინტერესი.

კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „ვაცხადებთ საქვეყნოდ, რომ ჩვენი სახელოვანი საჰაერო წითელი ფლოტი მზად არის საჭიროებისთანავე გამოვიდეს მუშურ-გლეხური მთავრობის დასაცავად. კოოპერაციის და მისი მნიშვნელობის შესახებ მოხსენების შემდეგ კრებამ დადგინა რათა ყველამ: მფრინავებმა, უფ შემადგენლობამ, წითელ არმიელებმა, ჩაეწერონ წევრად ერთიან-სამხედრო კოოპერაციაში. მოხსენებების შემდეგ მოხდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის წევრთა ახალი არჩევნები. კრებამ ერთხმად აირჩია კომისარიატის მიერ წ სახელებული კანდიდატები ნიკოლაიშვილი-ჯავახიშვილი, [illegible] [illegible] წევრად, [illegible] [illegible]. კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: ელიაშვილი და ივანოვი:



შავი ზღვის სამოქმედო ასპარეზი.

ჩვენ რომ შავი ზღვის ნაპირების ხასიათს შევეხოთ, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ტამანიდან კომპუშის კონცხამდე ერთი და იგივე არ არის. ტამანიდან დაწყებული ანაპამდე ზღვის ნაპირები წარმოადგენს დაბლობს. ზოგან აქ ჭაობიანი ადგილებია. ზღვის სიღრმე კი პატარა, ისე რომ თვით პატარა გემებიც მხოლოდ ნახევარ ვერსის სიშორეზე სდგება ნაპირებთან.

ანაპიდან მოყოლებული სოხუმამდე კავკასიონის ქედიდან გამოსული ტოტები აჩენენ ნაპირებზე კლდოვან ცხვირებს და კონცხებს, რასაკვირველია, ზღვის სიღრმეც დიდია და ამიტომ გემებს შეუძლია იმოქმედონ ნაპირების მახლობლად. ცუდ ამინდებში აქ გემები იძულებულნი წავიდნენ შიგნით ზღვისაკენ, რომ არ მოხვდენ იმ დიდ ქვებს, რომლებიც ნაპირებთან ბლომად იმყოფება. სოხუმიდან კომპუშის ცხვირამდე ზღვის ნაპირები დაბალია, ჭაობიანი და ტყიანი. ზღვის სიღრმეც პატარაა. დიდ გემებს შეუძლიანთ ნაპირებთან მისვლა მხოლოდ (იხელმძღვანელეთ ხუთ ვერსიან რუკით) ფოთთან, ქობულეთთან, ბათუმთან და ციხისძირთან. შავი ზღვის ფლოტისათვის უფრო კარგ სადგომებს წარმოადგენს შემდეგი ადგილები: ნოვოროსიის ნავთსადგური, რომელსაც თავისი ღირსებით, მეორე ადგილი უჭირავს სევასტოპოლის შემდეგ. თუმცა ზამთრობით აქ გაბატონებულია სხვა და სხვა მიმართულების ქარების მოქმედება. სოხუმის რეიდი, რომლის მახლობლად თუმცა საშიში არ არის გემების დგომა, მაგრამ აქაც გაბატონებულია ხმელეთის ქარები. ყველასათვის ცნობილია, რომ ფოთის ნავთსადგური დიდ ვიწროობას წარმოადგენს, და ზღვის სიღრმეც აქ პატარაა. ხოლო რაც შეეხება ბათუმს, თუმცა იგი პატარაა სივრცით მაგრამ აქ ზღვა დიდ სიღრმეს წარმოადგენს და გემებიც თავისუფლად მიდიან ნაპირებთან.

მოწინააღმდეგის ფლოტს გაუჭირდება დგომა ნოვოროსიის და ბათუმის ნავთსადგურთან.

(შემდეგი იქნება.)

ალ. **გორ—ძე.**



წითელი ეკლები.

„სამოს.ცხენ. ესკადრონში მწ.
თავი **ბიბინიაური** და თანაშე-
მწე მელქაძე.“

(კორესპონდენ კიიდან).

ბიბინიაური.

ვინ შემედაროს ჩემს ცოდნაში?
—ტრა—ლა—ლა პუმბია!..
ყველა სარდაფში, ვიცი ზეპირად
რამდენი რუმბია!!!

მელქაძე.

ო, „საპერნიკი“ იცოდე აქ ვარ,
თორემ ინანებ!
წამოგიკიდებ, დაგცემ ყირაზე—
ცრემლად ინამებ!!!

ბიბინიაური.

რამდენი „მეტრია“ ქალის ქუსლები.
ვინ იცის კარგა?
დილა ადრიან, საათის ათზე
ვინ ადგა, ჰქარგა?!

მელქაძე.

რაც ჩამოსთვალე, შენზე უკეთ
ვასრულებ აქ მე!
ფრთხილად, თორემა ცუდათ წავა
ეგ შენი საქმე!..

(ჩხუბი.)

დაშნა.

ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორი პ. **ქუთათელაძე**